



მიტროპოლიტი ილარიონი: ეკლესია არ ცდილობს ადამიანების შეზღუდვას, თუმცა კარნახობს, უკეთესად როგორ უნდა მოიქცნენ



პაპ ფრანცისკეს სიტყვებზე, რომელმაც თქვა, რომ ქორწინების გარეთ ურთიერთობა ყველაზე სერიოზული ცოდვას არ წარმოადგენს – სიამაყე და სიძულვილი ბევრად უარესია, სატელევიზიო გადაცემის „ეკლესია და მსოფლიო“-ს წამყვანმა ე. გრაჩევამ საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს მიტროპოლიტ ილარიონს კომენტარის თხოვნით, მიმართა.

„მე საერთოდ არ მსურს რომის პაპთან პოლემიკა, არც მის სიტყვებთან სოლიდარობა – ის თავის განცხადებებს გარკვეულ კონტექსტში აკეთებს და ძალიან ხშირად ხდება მათი კონტექსტიდან ამოგლეჯა“, – აღნიშნა მეუფე ილარიონმა.

ამასთანავე, მან მსმენელების ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საეკლესიო სწავლება ქორწინების შესახებ დამყარებულია როგორც ქალისა და მამაკაცის სამუდამო კავშირის შესახებ შეხედულებაზე. „შემთხვევითი არ არის, რომ ეკლესია თავის შვილებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ ქორწინებამდე სქესობრივი კავშირისგან, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდები ამყარებენ

ურთიერთობას, შემდეგ ქორწინდებიან, მაგრამ აღმოჩნდება რომ მათი კავშირი მყიფეა, ხშირად იბზარება და ზოგჯერ ინგრევა კიდევ“, – თქვა მეუფემ. – ქორწინების დანგრევის ერთადერთი მიზეზი მაიღამინც არ არის, რომ მისი ნგრევა ფაქტიურად ქორწინების საიდუმლოს აღსრულებამდე დაინყო, ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს სწორედ პასუხისმგებლობისა და სერიოზულობის ნაკლებობა, რომლითაც ახალგაზრდები თავიანთ ქორწინებას მიუდგნენ“.

ეკლესია არაფერს კრძალავს იმ მიზნით, რომ ადამიანები შეზღუდოს ან ცხოვრება გაურთულს – ის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების საფუძველზე კარნახობს ადამიანებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ უკეთესად და რისგან შეიკავონ თავი, – ხაზი გაუსვა მიტროპოლიტმა ილარიონმა.

მწყემსთმთავარმა გაიხსენა მოციქულის სიტყვები „ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ არა ყოველი უმჯობეს არს“ (1 კორ. 6:12). „აი რას ახსენებს ეკლესია ყველა ასაკის ადამიანს, ახალგაზრდას თუ მოხუცს: ადამიანს აქვს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საკუთარი ახლობლების წინაშე. თუ მას სურს შექმნას მყარი ურთიერთობები, რომლებსაც სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნებს, მაშინ ამ ურთიერთობებს მაქსიმალური პასუხისმგებლობით უნდა მოეპყრას“, – ბრძანა ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა.

სსკვ-ის კომუნიკაციის სამსახური

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88760/>